



აღმოსავლეთ ევროპის
უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026

ვისწრაფვით წარმატებისაკენ!



შესავალი

წინამდებარე გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა განიხილავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების მთავარ აქცენტებს. არსებული დოკუმენტი მიიჩნევა, როგორც ცოცხალი, ის განახლებადია და შესაძლებელია მასში აისახოს განვითარების მიმართულებები.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა უნდა შეინარჩუნოს სიახლისთვის მზაობა და ადეკვატურად უპასუხოს სწრაფად ცვალებად საერთაშორისო და ეროვნულ უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორს, *ამ გზით გააგრძელოს სწრაფად განვითარების პროცესი და ჩამოყალიბდეს, როგორც ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი საქართველოში.* აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის როლისა და დანიშნულების გააზრებას, დამოუკიდებლობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლებისა და კვლევის განუყოფლობას. აღნიშნული ძირითადი პრინციპები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ზრდასა და სწრაფვას წარმატებისაკენ, ასევე, პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და დაინტერესებულ პირთა წინაშე

უნივერსიტეტის შესახებ

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, როგორც კერო სამართლის იურიდიული პირი, დაფუძნდა ორგანიზაციის წარმატებული მართვისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე, მოტივირებული და კომპეტენტური გუნდის მიერ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ახალგაზრდა ინსტიტუციაა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, რომელმაც **2013 წლის სექტემბრიდან დაიწყო** საგანმანათლებლო საქმიანობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის პროგრამების განხორციელებით.

საქმიანობის წარმატებული დასაწყისიდან ორ წელიწადში რეავტორიზაციის გზით უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა და **აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU) 2015 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს, როგორც სამსაფეხურიანი უნივერსიტეტი.**

დღეს **EEU 18 საგანმანათლებლო პროგრამით** არის წარმოდგენილი, რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნების, თანამედროვე ტენდენციებისა და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით არის შექმნილი, მაღალი პოტენციალის მქონე, მოტივირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა შეძლო **დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის წარმატებით დანერგვა**, და **EEU - ში სწავლობს 140-მდე საერთაშორისო სტუდენტი** მსოფლიოს 10-მდე ქვეყნიდან.

EEU – მ არსებობის მოკლე ისტორიის მიუხედავად შეძლო მოეპოვებინა ნდობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, როგორც ხარისხზე ორიენტირებული, თანამედროვე კორპორატიული სტილის მქონე ინსტიტუცია. უნივერსიტეტმა **სწრაფი და მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა** საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა მიმართულებით. განსაკუთრებით თვალისაჩინოა ეს პროგრესი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. ამჟამად, EEU-ს უკვე ჰყავს **20-ზე მეტი პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტი და არის ათამდე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი**. ასევე, **აღსანიშნავია სამეცნიერო აქტივობების სიმრავლე**. EEU-ს **ERASMUS+ -ის** სამი, **რუსთაველის ფონდის ორი და აშშ-ის საელჩოს მიერ გამოცხადებული სამი საგრანტო პროექტი გამარჯვებულია**. ჩატარებული აქვს **20-ზე მეტი სამეცნიერო კონფერენცია**, მათ შორის, **6 საერთაშორისო**.

EEU განსაკუთრებით ამაყობს საკუთარი კურსდამთავრებულების მიღწევებით. მათი კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი მაღალი და ყოველწლიურად მზარდია.

EEU-ს პერსონალი საკუთარ საქმიანობას განიხილავს უნივერსიტეტთან გრძელვადიან პერსპექტივაში.

EEU-ს სტუდენტები გამოკითხვის შედეგებში აღნიშნავენ, რომ მათი მოლოდინები გამართლდა და სხვასაგ ურჩევენ არჩევანი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტზე გააკეთონ.

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ისტორიას ქმნის კმაყოფილი სტუდენტი, კურსდამთავრებული, პერსონალი და პარტნიორი, რომელთა მოლოდინების გამართლებისთვის ჩვენ ვალდებულნი ვართ მუდმივად ვისწრაფვით წარმატებისკენ!

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

წინამდებარე სტრატეგიული გეგმის განახლება განხორციელდა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობითა და თანამონაწილეობით.

პირველი ეტაპი:

წინამდებარე სტრატეგიის შემუშავების მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფმა პირველ ეტაპზე განხორციელა მოსამზადებელი აქტივობები.

ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, ქვეყნის განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია, სხვა უამღლეს საგანმანათლებლო სიტემაში არსებული ტენდენციების შესახებ არსებული დოკუმენტები, რეკომენდაციები, ასევე საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა.

უნივერსიტეტში არსებული ვითარების ანალიზის, შემდგომი განვითარების საჭიროებების დადგენისა და შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბების მიზნით სამუშაო ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ზედა და საშუალო რგოლის წარმომადგენლებს, მათ შორის, ფაკულტეტის დეკანებს, პროგრამების ხელმძღვანელებს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს, შეისწავლა შესაბამისი სტანდარტები და რეკომენდაციები, არსებული გარემო და ტენდენციები, გააანალიზა საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების გეგმები და მოლოდინები მათთან ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით.

მეორე ეტაპი:

სამუშაო ჯგუფის მიერ პირველ ეტაპზე განხორციელებული აქტივობების შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა უნივერსიტეტის განახლებული 2019-2026 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და 2019-2021 წლების სამწლიანი გეგმის პროექტები.

მესამე ეტაპი:

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები განხილულ იქნა სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან: უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და ა.შ. მიღებული უკუკითხვების შედეგების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა სტრატეგიის დოკუმენტების საბოლოო რედაქცია და დამტკიცდა. ამასთანავე, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რეგულარულად უნდა განხორციელდეს განსაზღვრული პერიოდების, მიზნებისა და კონკრეტული აქტივობების გადახედვა; მოხდეს მათი საჭიროებისამებრ დაზუსტება პროცესების რეალური განვითარებისა და მიღწეული პროგრესის

საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრისთვის თანაბრად სარგებლიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

სტრატეგია 2026

სტრატეგიული განვითარების გეგმა, ისევე როგორც შესაბამისი სამოქმედო გეგმა, შემუშავებულია ჩვენი წარსული და მიმდინარე საქმიანობის დეტალური და თვითკრიტიკული შეფასების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ წამოვიწყეთ დასაქმების ბაზრის მასშტაბური და დეტალური კვლევა. გარდა ამისა, ვაწარმოებთ სიღრმისეულ SWOT ანალიზს. ჩვენი მხოლოდ მტკიცებულებებზე დაფუძნებით ვიღებთ გადაწყვეტილებებს, როგორც ყოველდღიურ, ასევე გრძელვადიანი დაგეგმარების ეტაპზე/პროცესში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ანალიზის შედეგები SWOT ანალიზის შედეგები, რომელიც საფუძვლად დაედო სტრატეგიულ დაგეგმარებას.

	კომპეტენციის განვითარება (Individuals)	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგისმომტანი გეგმის განვითარება
SWOT Analysis S	<ul style="list-style-type: none"> - მაღალკვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, - კვლევითი საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა; 	<ul style="list-style-type: none"> - წარმატებული ბონუსების სისტემა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების მხარდასაჭერად, - ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების აღიარება - მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები; 	<ul style="list-style-type: none"> - წამყვან უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა; - სტუდენტებთან მჭიდრო თანამშრომლობა და სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მათი აქტიური ჩართვა. 	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტზე ცენტრირებული პროგრამები და მართვა; - სწავლების გადახდის მოქნილი გრაფიკი - სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა - საერთაშორისო სტუდენტებისთვის პერსონალიზირებული სერვისების შეთავაზება; - საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება

	კომპეტენციის განვითარება (Individuals)	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგისმომტანი გეგმის განვითარება
W	<ul style="list-style-type: none"> - საერთაშორისო აკადემიური პერსონალის ნაკლებობა ინგლისურენოვან პროგრამებზე; - პროფესიული განვითარების პროგრამების ნაკლებობა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. 	<ul style="list-style-type: none"> - განათლების პირველ საფეხურზე ქართველი სტუდენტების ნაკლებობა - ერთიანი სტუდენტური სერვისის განვითარების საჭიროება; ; - თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ელექტრონული პროგრამების ნაკლებობა მენეჯმენტის ორგანიზების პროცესში ; 	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი სამიზნე ბაზრის შესახებ მწიორი ინფორმაციის ქონა; - სამეცნიერო აქტივობების შესახებ საერთაშორისო დონეზე დაბალი ცნობადობა; - სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დაბალი ჩართულობა უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ გაცვლით პროგრამებში. 	<ul style="list-style-type: none"> - შეუსაბამო ინფრასტრუქტურა - შეუსაბამო რეკრეაციული ზონები; - შეუსაბამო გარემო უნარმეზღვეულ და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის - სტუდენტთა საცხოვრებლის არ ქონა. - თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებთან შესაბამისი განახლებულ ლაბორატორიათა სიმცირე
O	<ul style="list-style-type: none"> - უნივერსიტეტის, როგორც კვლევაზე ორიენტირებული დაწესებულების, ცნობადობის გაზრდა და ამგავრად, მაღალი პოტენციალის აკადემიური პერსონალის მოზიდვა; - აკადემიური პერსონალის მიერ ცნობილ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნება; - საერთაშორისო პროფესორების რაოდენობის ზრდის პოტენციალი; - პერსონალის განვითარების 	<ul style="list-style-type: none"> - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მონიტორინგი და ხელახალი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები; - საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა; - კვლევითი საქმიანობის განვითარება და გაფართოება - თანამედროვე სწავლების მეთოდების სასწავლო პროგრამებსა და პროცესში ინტეგრირების პროცესის უფრო გააქტიურება და ხელშეწყობა; - თანამედროვე ონლაინ პროგრამები პერსონალის გადამზადებისა და მართვის პროცესში - გაუმჯობესებული პერსონალის მართვის პოლიტიკა; - სტუდენტებისთვის პროექტებისა და აქტივობების შეთავაზება სამეცნიერო- 	<ul style="list-style-type: none"> - პროფესიულ და ბიზნეს ასოციაციებში წევრობის პოტენციალი; - ეფექტური კომუნიკაციის სისტემა კურსდამთავრებულებთან - ორმაგი და ერთობლივი სადიპლომო პროგრამები 	<ul style="list-style-type: none"> - ახალი ბრენდის და კორპორაციის იდენტობა - კვლევისთვის საკმარისი ფინანსები - ახალი, თანამედროვე კამპუსის დასრულება; - კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვის პროცესის დასრულება; - ჯანდაცვის ფაკულტეტის განვითარება.

	კომპეტენციის განვითარება (Individuals)	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგისმომტანი გეგმის განვითარება
	სისტემის შემოღება.	კვლევითი აქტივობების განსავითარებლად - სტუდენტთა ელექტრონული სერვისები; - ახალი პროგრამული უზრუნველყოფა;		
T	- შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ქართველი აკადემიური პროფესორის ნაკლებობა	- სტრუქტურებმა შესაძლოა საკამრისად სწრაფად ვერ მოახდინონ ორგანიზაციულ ცვლილებებზე ადაპტირება;	- კონკურენტუნარიანი და სწრაფი ტემპის მქონე გარემო; - ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის გაუარესება; - მოთხოვნების გამკაცრება მედიცინის საერთაშორისო სტუდენტებისთვის;	- ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება და ეროვნული ვალუტის შესაძლო გაუფასურება; - სავიზო პროცესის გართულება საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

	კომპეტენციის განვითარება (Individuals)	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგისმომტანი გეგმის განვითარება
დაგეგმილი ცვლილებები	<ul style="list-style-type: none"> - პერსონალის მოტივაციის ზრდა - უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მოზიდვა, მათ შორის უცხოელების; - კვლევითი საქმიანობის ზრდა - ინტერნაციონალიზაცია „შინ“ 	<ul style="list-style-type: none"> - დაწესებულების მდგრადობის უზრუნველყოფა - განახლების დინამიკის ზრდა უნივერსიტეტის პერსონალთან მიმართებაში, კურსდამთავრებულთა მოზიდვის ჩათვლით; - პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის გაძლიერება; - პოტენციურ სტუდენტებისთვის უკეთესი რეპუტაციის მოპოვება. - მეტი სტუდენტის მოზიდვა - მმართველობითი პროცესების უკეთესი ეფექტიანობა; - გაუმჯობესებული სერვისები სტუდენტებისთვის; - ორგანიზაციული ცვლილებების ფორმალიზება. 	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის უკეთესი პირობების შეთავაზება (გაცვლითი პროგრამები; კონფერენციები) - სტუდენტთა ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა; - ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება - მეტი საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორი; - გაუმჯობესებული ურთიერთობები და ინტერესებულ მხარეებთან; - შრომის ბაზრის უკეთესი შესწავლა; 	<ul style="list-style-type: none"> - წარმატებული სტუდენტების მოტივაცია ფინანსური კუთხით; - უკეთესი კვლევითი ინფრასტრუქტურა; - გაუმჯობესებული მარკეტინგი; - ინფრასტრუქტურის დახვეწა; - გარემოსა და სერვისების თანამედროვე სტანდარტებთან თავსებადობა; - შესაფერისი გარემო უნარშეზღუდული და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის.

	კომპეტენციის განვითარება (Individuals)	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგისმომტანი გეგმის განვითარება
შესამლო ზომები და შედეგები	<ul style="list-style-type: none"> - HE- მენეჯერების და მმართველების ტრენინგი => მმართველობის გაუმჯობესება - მასწავლებელთა ტრენინგი და => სტუდენტთა კმაყოფილების ზრდა - პერსონალის გადამზადების საჭიროების კვლევა ძირითად დაწესებულებებში => მთავარი პერსონალის ეფექტიანობის ზრდა 	<ul style="list-style-type: none"> - ძირითადი დაწესებულებების ჰოლისტური უნარიანობის შეფასება=> ეფექტურ განვითარებას=> ეფექტურად მომუშავე ძირითად სამსახურებს, სადაც გაწერილია კონკრეტული როლები და უფლება-მოვალეობები. - უნიფიცირებული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის განვითარებას უსდ-სთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ეფექტიანად განხორციელება უმაღლესი განათლების გაუმჯობესებული ხარისხი. 	<ul style="list-style-type: none"> - მეტი კავშირი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან=> გაუმჯობესებული სწავლა-სწავლების პროცესი - თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია უსდ-სა და სამუშაო ადგილებს შორის=> დასაქმებაზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სისტემა - სამუშაო ადგილებთან მეტი კავშირი და შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ შესწავლა. 	<ul style="list-style-type: none"> - ინფრასტრუქტურის მუდმივი განახლება, გაუმჯობესებული აღჭურვილობა და რესურსები მდგრადი და მიმზიდველი გარემო.
კვეთა სხვადასხვა დონეზე	<ul style="list-style-type: none"> - შედეგის მომტანი პრაქტიკის გაზიარება დამოკიდებულია EEU-ს სამსახურის ერთეულებსა და დეპარტამენტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე - პერსონალის მოტივაცია და მზაობა სიახლის მიმართ ერთმანეთზე დამოკიდებული; - EEU მდგრადობა და პერსონალისა და პედაგოგების სისტემური ტრენინგები ერთმანეთზე დამოკიდებული. 		<ul style="list-style-type: none"> - დასაქმების სექტორის წარმომადგენლების სურვილი ითანამშრომლოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან დამოკიდებულია სურვილზე, რომ სისტემა იყოს დასაქმებაზე ორიენტირებული. 	<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტების მოზიდვა დამოკიდებულია ინფრასტრუქტურის და რეპუტაციის ზრდაზე; - ინფრასტრუქტურის კუთხით ფინანსების მიმართვა დამოკიდებულია სტუდენტების მოზიდვაზე. - ზრდის პოტენციალი დამოკიდებულია ეკონომიურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე.

	კომპეტენციის განვითარება (Individuals)	ორგანიზაციული განვითარება	თანამშრომლობითი სისტემის განვითარება	შედეგისმომტანი გეგმის განვითარება
დამატებითი ზომები სხვა აგენტების მხრიდან	- უცხოელ კონსულტანტებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობა		- საერთაშორისო პარტნიორები.	- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის მხარდაჭერა საერთო საგანმანათლებლო სტრატეგიის კუთხით.

სტრატეგია 2026

სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მთავარ სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტებს, რაც უზრუნველყოფს მის წარმატებულ ფუნქციონირებასა და წინსვლას ქართული უმაღლესი განათლების განვითარების პროცესში.

სტრატეგიული განვითარების გეგმა დაფუძნებულია ოთხ ძირითად მიზანზე :

- ✓ მივაღწიოთ ჩვენს ხედვას და მისიას;
- ✓ წვლილი შევიტანოთ ქართული უმაღლესი განათლების სისტემის მთავარი მიზნების მიღწევაში;
- ✓ მოვახდინოთ ჩვენი ქმედებების ინტეგრირება ევროპული უმაღლესი განათლების სივრცესთან;
- ✓ ვიმოქმედოთ ჩვენი საერთო ღირებულებების საფუძველზე.

სტრატეგია 2026

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხედვა:

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებულ, საერთაშორისო დონის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბება.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია არის:

- სწავლებისა და კვლევის ინტეგრირება და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა;
- დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, ქართულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოებისათვის;
- სტუდენტთა დასაქმებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება ცვალებადი საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები:

პროფესიონალიზმი, ინოვაციურობა, ღიაობა და ფართო კოოპერაცია.

სტრატეგია 2026

ჩვენი მიზნების განსახორციელებლად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ორიენტირებული იქნება 3 სტრატეგიულ პრიორიტეტზე.

- მიმზიდველობის გაზრდა
- კვლევის გაფართოება
- ინტერნაციონალიზაცია

იმისთვის, რომ მიღწეულ იქნას მოცემული სამი სტრატეგიული პრიორიტეტი, ჩვენ მოვახდინეთ 2 გამჭოლი პრიორიტეტის იდენტიფიცირება. სტრატეგიული პრიორიტეტების შესრულების წინაპირობაა:

- მენეჯმენტის გაძლიერება;
- ინფრასტრუქტურის განვითარება

მხოლოდ ადეკვატური მენეჯმენტით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით არის შესაძლებელი დაწესებულების მიმზიდველობის გაზრდა, კვლევის გაფართოება და ინტერნაციონალიზაცია.

თითოეულ სტრატეგიულ პრიორიტეტში და გამჭოლ პრიორიტეტში, გამოვიყენებთ სხვადასხვა ნაბიჯებს, რომელიც უფრო დეტალურად განსაზღვრულია ჩვენს 3-წლიან სამოქმედო გეგმაში. აღნიშნული ქმედებები შეესაბამება მთავარ სტრატეგიულ ინიციატივებს, რომელიც საფუძვლად უდევს თითოეულ სტრატეგიულ პრიორიტეტს.

სტრატეგია 2026

სტრატეგიული პრიორიტეტი 1. მიმზიდველობის გაზრდა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი დაარსების დღიდან მუდმივად იზრდება რაოდენობისა და ხარისხის კუთხით. თუმცა, ეს ზრდა არ ასახულა დაბალანსებულად და ადექვატურად, განსაკუთრებით უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. სტუდენტების მოზიდვა მსოფლიო მასშტაბით რჩება პრიორიტეტული, მაგრამ, ასევე, ჩვენი პრიორიტეტი იქნება მოვიზიდოთ უფრო მეტი, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, მოტივირებული ქართველი სტუდენტი, განსაკუთრებით სწავლების პირველ საფეხურზე.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა შეძლო გამხდარიყო მაღალკვალიფიციური პერსონალის დანიშნულების ადგილი და ასევე, წარმატებით შექმნა სანიმუშო გარემო თანამედროვე სტუდენტური საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა დაამყარა მნიშვნელოვანი კავშირები შრომის ბაზართან და მოიპოვა სადოქტორო საფეხურზე სწავლების განხორციელების უფლება. სასწავლო გარემო იქმნება სტუდენტებისთვის, კვლევითი ინფრასტრუქტურა მუდმივად უმჯობესდება და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია საერთაშორისო საპარტნიორო ურთიერთობების გაფართოების შესაძლებლობა.

თუმცა, აღნიშნული მიღწევები საკმარისად არ აისახება დაწესებულების იმიჯზე საზოგადოებაში. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს სჭირდება, რომ გახდეს ბრენდული სახელის მქონე დაწესებულება, რომელიც ასოცირდება სტუდენტებისა და დაწესებულების წარმატებასთან. აღნიშნული დაეხმარება და დააჩქარებს დაწესებულების შემდგომ განვითარებას და გაამლიერებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პოზიციას ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო ასპარეზზე. ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი საქმიანობით და სტრატეგიული გეგმის განხორციელებით, გავხდეთ ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი ქვეყნის მასშტაბით.

ამ პოტენციალის განხორციელების შემთხვევაში, გადამწყვეტი იქნება, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა შეძლოს წარმატებით უპასუხოს მზარდ მოთხოვნებს. ამგვარად, ჩვენ ორიენტირებულნი ვიქნებით სტუდენტთა კონტიგენტის შევსებაზე და

გაფართოებაზე დეტალურ და ინდივიდუალურ ფორმულაზე დაფუძნებული მიდგომით, რომელიც ითვალისწინებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პოტენციალს.

შესაბამისად, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. მოვიზიდოთ მეტი მოტივირებული და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი;
2. შევქმნათ ბრენდის გაუმჯობესებული სახე და რეპუტაცია.

ჩვენი წარმატების საზომია:

- შევსებული კონტიგენტი;
- მუდმივად ზრდადი ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი;
- გაზრდილი პირველი საფეხურის სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებელი;
- წარმატებული სტუდენტების უპირატესი არჩევანი;
- გაუმჯობესებული იმიჯი დაინტერესებული პირებისთვის;
- გავზდებით ქვეყნის ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: კვლევების განვითარება

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტმა, როგორც კვლევითმა უნივერსიტეტმა უკვე მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, არა მხოლოდ სადოქტორო პროგრამის განხორციელების კუთხით. ამ მიღწევებს ესაჭიროება გაერთიანება და გაფართოება სტრატეგიული კუთხით.

ამ მიზნით, დაგჭირდება განვმარტოთ და შევთანხმდეთ კონკრეტულ კვლევით პრიორიტეტებზე, რომელიც შექმნის ნათელ, კვლევით სტრატეგიას და რომელსაც მხარს უჭერს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და მასთან დაკავშირებული ყველა პირი.

მიზნად ვისახავთ, რომ ვუზრუნველყოთ კვლევითი აქტივობები შესაბამისი კვლევითი ინფრასტრუქტურით, რომელიც განსაკუთრებით ხელს შეუწყობს გამოყენებით კვლევებს, რაც აისახება და გავლენას მოახდენს საუნივერსიტეტო საზოგადოებაზე.

ვისწრაფვით, რომ განვავითაროთ კვლევისა და სწავლების განუყოფლობის აღქმააქედან გამომდინარე, განვახორციელებთ მხარდამჭერ აქტივობებს, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ძლიერი კვლევითი კულტურის დანერგვის მიზნით, რაც ასევე, მოითხოვს სტუდენტთა მეტ ჩართულობას კვლევით აქტივობებში და კვლევითი კომპონენტის ზრდას კურსკულუმში.

ვიმუშავებთ კვლევითი პროდუქტიულობის, რაოდენობისა და ხარისხის გაზრდის მიმართულებით. გააზრებული გვაქვს, რომ ამზიციან გავხდეთ ერთ-ერთი წარმატებული უნივერსიტეტი ქვეყნის მასშტაბით დამოკიდებულია იმ ფაქტზე, რომ კვლევა უნდა გახდეს ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ბიუჯეტით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. დეტალური კვლევითი სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
2. ინფრასტრუქტურის განვითარება გამოყენებითი კვლევების მხარდასაჭერად;
3. კვლევითი კულტურის დანერგვა;
4. კვლევითი პროდუქტიულობის ზრდა.

ჩვენი წარმატების საზომი იქნება:

- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად PhD პროგრამების განხორციელება;
- კვლევითი ინფრასტრუქტურის შესაბამისობა;

- კურიკულუმის კვლევითი კომპონენტები;
- კვლევითი პუბლიკაციების რაოდენობა, ჟურნალების ტიპი და აქტიური მონაწილეობა კონფერენციებზე;
- ინვესტიცია კვლევაში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: ინტერნაციონალიზაცია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი არის საერთაშორისო უნივერსიტეტი. ვითვალისწინებთ, ჩვენს გეოგრაფიულ მდებარეობას და თავს მივიჩნევთ ევროპულ პრინციპებზე დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად. კონკრეტულად კი, ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ყველა თვისება მიგვაჩნია ჩვენს განყოფილ ნაწილად.

ამავდროულად, ჩვენ ღია ვართ არა მხოლოდ ევროპისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენი მიზანია, გავხდეთ სტუდენტებისათვის სასურველი უნივერსიტეტი მსოფლიო მასშტაბით და გავზარდოთ საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა.

აღნიშნულის მხარდასაჭერად, დავამყარეთ სხვადასხვა საერთაშორისო კავშირები და თანამშრომლობითი ხასიათის ურთიერთობები. თუმცა, საჭიროა შენარჩუნდეს თანამშრომლობის ქმედითუნარიანობა და გამოყენებული იყოს ოპტიმალურად.

ვისწრაფვით, რომ გავზარდოთ საერთაშორისო პროგრამები ისევე როგორც არსებული პროგრამების საერთაშორისო ასპექტები. აქედან გამომდინარე, მიზნად ვისახავთ, რომ ქართველ სტუდენტებსაც შევთავაზოთ საერთაშორისო სწავლის გამოცდილება.

ჩვენი მიზანია გავზარდოთ ინტერნაციონალიზაცია პერსონალისთვის და მმართველობითი კუთხითაც ინტერნაციონალიზაციას მივიჩნევთ მნიშვნელოვან ფაქტორად. აქედან გამომდინარე, ორიენტირებულნი ვიქნებით იმ ფაქტზე, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, როგორც ერთიანი დაწესებულება

ორიენტირებულია საერთაშორისო მასშტაბებზე და ინტერნაციონალიზაცია გახდება მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი.

შესაბამისად, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტარტეგიულ ინიციატივებზე:

1. საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება;
2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება „შინ“;
3. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.

ჩვენი წარმატების საზომი იქნება

- ქმედითი საერთაშორისო თანამშრომლობის რაოდენობა;
- საერთაშორისო კვლევისა და სწავლების კუთხით თანამშრომლობის რაოდენობა;
- სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლის მაჩვენებლის რაოდენობა;
- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა.

გამჭოლი პრიორიტეტი ა. მმართველობის გაძლიერება

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად შეუძლია გაამართლოს მოლოდინები, როგორც სტუდენტებისა და თანამშრომლების, ასევე შრომის ბაზრისა და საზოგადოების კუთხით. აღნიშნული მოითხოვს თავდაუზოგავ, კომპეტენტურ და მომსახურებაზე ორიენტირებულ დაწესებულების მენეჯმენტს.

ამ კუთხით, ჩვენ ვისწრაფვით, რომ განვაავითაროთ ჩვენი მმართველობითი სტრუქტურა და კომპეტენციები. ჩვენ მოვითხოვთ მეტ, უკეთესს და მაღალკვალიფიციურ კადრებს. არსებულ მაღალკონკურენტულ გარემოში, ახალი კადრების მოზიდვის ნაცვლად, გადავამზადებთ არსებულ კადრებს პროფესიული განვითარების კუთხით, ასევე აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.

ჩვენი საქმიანობის ხარისხი, ჩვენი მთავარი საზრუნავია. აქედან გამომდინარე ვცდილობთ, შევქნათ უნივერსიტეტის მასშტაბით ხარისხის კულტურა, რომელიც გავრცელდება ყველა ჩვენ სერვისზე და აქტივობაზე. თუკი მუდმივად ვიზრუნებთ ხარისხის განვითარებაზე შევძლებთ მივაღწიოთ მიზანს - გავხდეთ ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი.

აღნიშნული ასევე მოითხოვს სტუდენტების, პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების ადექვატურ გააზრებას,, მუდმივი დიალოგის წარმართვა და გასაუმჯობესებელი მხარის თანმიმდევრული აღმოჩენა ჩვენი წარმატების განუყოფელი ნაწილია.

აქედან გამომდინარე, ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტრატეგიულ ინიციატივებზე:

1. ადამიანური რესურსების მარკეტინგი და ბრენდინგი (პროფესიონალი ადამიანური რესურსების მოზიდვა, შენარჩუნება, განვითარება);
2. ხარისხის კულტურის დანერგვა და განვითარება;
3. შეთავაზებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება ყველასთვის.

ჩვენი წარმატების საზომი იქნება:

- პერსონალის და სტუდენტის კმაყოფილება
- პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და გავლენა
- ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა
- მენეჯერული ეფექტიანობის დონე

გამჭოლი პრიორიტეტი ბ. ინფრასტრუქტურის განვითარება

ჩვენი მიზნების მიღწევისთვის და , ზემოთხსენებული სამი სტრატეგიულ პრიორიტეტის უზრუნველყოფას ესაჭიროება შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ახალი კამპუსი ჩვენი წარმატების გასაღებია.

ახალი კამპუსის მეშვეობით და ახალ ინფრასტრუქტურაში მუდმივი ინვესტიციით, შევძლებთ განვავითაროთ სასწავლო, კვლევითი და სამუშაო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ფუნქციონირებას. გავაფართოვებთ კვლევით და სასწავლო ლაბორატორიებს და ვუზრუნველყოფთ, ინფრასტრუქტურისა და მიზნების თანხვედრას. რათა განხორციელდეს სტუდენტზე ცენტრირებული სწავლება.

თუ ჩვენ შევქმნით, შევინარჩუნებთ და მუდმივად მოვარგებთ საჭირო ინფრასტრუქტურას სწავლას და კვლევას, შევძლებთ ჩვენი მიზნის მიღწევას - გავხდეთ ერთ-ერთი წარმატებული საქართველოში.

აქედან გამომდინარე, აქცენტს გავაკეთებთ შემდეგ სტარტეგიულ ინიციატივებზე:

1. შევქმნით ახალ სასწავლო და კვლევით გარემოს;
2. შესაბამისობაში მოვიყვანთ ინფრასტრუქტურას სტრატეგიასთან და პოლიტიკასთან

ჩვენი წარმატების საზომი იქნება:

- ინვესტიციის წილი ინფრასტრუქტურაში;
- სტუდენტთა და თანამშრომელთა კმაყოფილება;
- სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიების რაოდენობა.